დეტალური წესები და პირობები

22.09.2026

ინვესტირება დანაკარგის გარეშე

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ მოცემულ წესებსა და პირობებს (შემდგომში „წესები“), რომლებიც არეგულირებს თქვენ მიერ კამპანიის - „პირველი ინვესტიცია დანაკარგისგან დაცულია“ ფუნქციონალის გამოყენებას. აღნიშნული კამპანიით სარგებლობით, თქვენ სრულად აცნობიერებთ და ეთანხმებით წინამდებარე წესებს.

1. კამპანიის აღწერა

1.1. „პირველი ინვესტიცია დანაკარგისგან დაცულია“ (შემდგომში - „კამპანია“) არის საინვესტიციო კამპანია იმ მომხმარებლებისთვის, რომლებსაც თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე აქციები ჯერ არ შეუძენიათ.

1.2. კამპანია მოქმედებს **22.09.2026-დან 22.10.2026-ის ჩათვლით** და ვრცელდება მხოლოდ **პირველ 1000 (ერთი ათასი) მომხმარებელზე**, რომელიც პირველი შეასრულებს წინამდებარე წესებით განსაზღვრულ პირობებს (შემდგომში - **„კამპანიის მოქმედების ვადა“**).

1.3. კამპანიის ფარგლებში, ინვესტიციების მომხმარებლები შპს „თიბისი კაპიტალის“ (ს/ნ 204929961) (შემდგომში - „თიბისი კაპიტალი“) მიერ წინასწარ დადგენილი ფიქსირებული თანხით - **50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარით** (შემდგომში **„ნასყიდობის ფასი“**) შეძლებენ შეიძინონ წინასწარ განსაზღვრული კომპანიებიდან - **Meta Platforms, Inc. (META)**, **Alphabet Inc. (GOOGL)** ან **Amazon.com, Inc. (AMZN)** (შემდგომში როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე „კომპანია“) ერთ-ერთი კომპანიის აქციები. თუ კამპანიის ფარგლებში შეძენილი აქცია(ებ)ის ნასყიდობის ფასი შემცირებული იქნება **დაცვის პერიოდის** ამოწურვის დღესთან შედარებით, თიბისი კაპიტალი მომხმარებელს აუნაზღაურებს აქცი(ებ)ის ნასყიდობის ფასსა და კამპანიის **დაცვის პერიოდის დასრულების დღეს** არსებულ საბოლოო ფასს შორის არსებულ სხვაობას - დანაკარგს.

2. კამპანიის ძირითადი პირობები

2.1. კამპანია განკუთვნილია თიბისი მობაილბანკის იმ მომხმარებლებისთვის , რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ინვესტიციების პლატფორმაზე , გახსნილი აქვთ საინვესტიციო ანგარიში და კამპანიაში ჩართვამდე არ აქვთ შესრულებული არცერთი სავაჭრო ტრანზაქცია (კამპანიაში ჩართვამდე არ უყიდიათ აქცია).

2.2. კამპანიის აქტივაცია შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ოფიციალური არხების მეშვეობით: თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე ინვესტიციების გვერდზე არსებული კამპანიის შესაბამისი სპეციალური ბანერიდან/ჩანართიდან (ე.წ. Widget) ან პორტფოლიოს გვერდზე განთავსებული კამპანიის შესაბამისი სპეციალური ბანერიდან/ჩანართიდან (ე.წ. Widget).

2.3. კამპანიის აქტივაცია შესაძლებელია მხოლოდ კამპანიის მოქმედების ვადის განმავლობაში მხოლოდ პირველი 1 000 (ერთი ათასი) მომხმარებლისთვის , მაშინ , როდესაც ის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია წესების 2.2. პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური არხების მეშვეობით და დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადად თითოეულ მომხმარებელზე - კამპანიაში მონაწილეობისას ,

მომხმარებელს შეუძლია კამპანიის ფარგლებში შემოთავაზებული კომპანიებიდან აირჩიოს მხოლოდ ერთი კომპანიის აქცია და თიბისი კაპიტალის მიერ წინასწარ დადგენილი ნასყიდობის ფასით - **50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარით** შეასრულოს მხოლოდ ერთი ყიდვის ოპერაცია.
2.4. კამპანიის ფარგლებში, აქციის შეძენის მომენტიდან **30 (ოცდაათი) კალენდარული დღე** წარმოადგენს **დაცვის პერიოდს** (შემდგომში - **„დაცვის პერიოდი“**), რომლის დასრულების შემდგომაც მომხმარებელს აუნაზღაურდება დანაკარგი წინამდებარე წესებში მოცემული პირობებისა და დათქმების სრული, ზუსტი და განუხრელი დაცვის შემთხვევაში. **დაცვის პერიოდის დასრულების დღეს** ბირჟაზე დაფიქსირებული აქციის საბოლოო ღირებულება წარმოადგენს დახურვის ფასს (შემდგომში - „დახურვის ფასი“).

2.5. კამპანიის დაცვის პერიოდის დასრულების შემდგომ აქციები მთლიანად ეკუთვნის მომხმარებელს და მათი შემდგომი განკარგვა მომხმარებლის სრული უფლებამოსილებაა . დაცვის პერიოდის დასრულების თარიღის შემდგომ აქციების ფასის ცვლილებასთან (ზრდა /კლება) დაკავშირებული ყოველგვარი რისკი სრულად გადადის მომხმარებელზე . თიბისი კაპიტალი თავისუფლდება აქციის ღირებულების დაცვის პერიოდის თარიღის შემდგომი შემცირებით გამოწვეული დანაკარგის ანაზღაურების ვალდებულებისგან .
2.6. მომხმარებელი წესებზე დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს , რომ თიბისი კაპიტალი იტოვებს უფლებას , თავად და დამოუკიდებლად განსაზღვროს კომპანი (ებ)ი, რომელთა აქცი (ებ)ის შეძენასაც შეძლებენ მომხმარებლები , **კამპანიის მოქმედების ვადა**, **დაცვის პერიოდი**, **თანხა**, მომხმარებელთა რაოდენობა და მიზნობრივი ჯგუფები , რომლებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება კამპანია და ყველა სხვა დამატებითი პირობა თუ წესი .
2.6.1. თიბისი კაპიტალი თავად და დამოუკიდებლად განსაზღვრავს მომხმარებლებს , რომლებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება კამპანია . კამპანიის კონკრეტული მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს თიბისი კაპიტალის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას .
2.7. კამპანიის ფარგლებში შეძენილი აქციების ნახვა მომხმარებელს შეეძლება თიბისი მობაილბანკის ინვესტიციების პლატფორმაზე, პორტფოლიოს გვერდზე და „ჩემი ინვესტიციების“ ჩანართში, სადაც ისინი გამოყოფილი იქნება შესაბამისი სპეციალური ხატულათი.

3. დანაკარგის ანაზღაურების წესი

3.1. კამპანიის ფარგლებში დანაკარგის ანაზღაურების მისაღებად, მომხმარებელმა წინასწარ, თიბისი კაპიტალის მიერ განსაზღვრული ნასყიდობის ფასით - **50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარით** უნდა შეიძინოს მხოლოდ ერთი კომპანიის აქცია და მომხმარებელმა კამპანიის **დაცვის პერიოდის დასრულებამდე** არ უნდა გაყიდოს ან/და არ უნდა შექმნას მათი გაყიდვის დავალება (აქციების როგორც სრული ოდენობა, ისე მისი ნაწილი).
3.2. დანაკარგის ანაზღაურება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **დაცვის პერიოდის დასრულების დღეს** არსებული დახურვის ფასი შემცირებული იქნება ნასყიდობის ფასთან შედარებით .
3.2.1. თუ წესების 3.2. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, **დაცვის პერიოდის** დასრულების დღე დაემთხვევა არა სავაჭრო დღე ს, ფასების შედარებისათვის გამოყენებული იქნება უკანასკნელი ხელმისაწვდომი სავაჭრო დღის დახურვის ფასი .

3.3. თუ კამპანიის ფარგლებში შეძენილ აქციაზე დანაკარგი დაფიქსირდა წესების 3.2. პუნქტის შესაბამისად, მომხმარებელს დანაკარგი აუნაზღაურდება **ნასყიდობის ფასისა** და **დაცვის პერიოდის დასრულების დღეს** არსებული დახურვის ფასის შედარებისა და მათ შორის არსებული სხვაობის შესაბამისად, კამპანიის **დაცვის პერიოდის დასრულებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში** მომხმარებლის საინვესტიციო ანგარიშზე თანხის დარიცხვის გზით.
3.4. თიბისი კაპიტალი თავისუფლდება დანაკარგის ანაზღაურების ვალდებულებისგან , თუ წესების 3.2. პუნქტიდან გამომდინარე , კამპანიის ფარგლებში შეძენილი აქციის ნასყიდობის ფასისა და დაცვის პერიოდის დასრულების დღეს არსებული დახურვის ფასის შედარების საფუძველზე ფასის კლება არ დაფიქსირდება (აქციის ფასი გაიზარდება ან დარჩება იგივე). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით , მხარეები თანხმდებიან , რომ თიბისი კაპიტალი არ არის ვალდებული აანაზღაუროს აქციის ფასის შუალედური შემცირება , რომელიც შესაძლოა დაფიქსირდეს აქციების შეძენ ისა და დაცვის პერიოდის დასრულების თარიღებს შორის არსებულ ი პერიოდი ს განმავლობაში .
3.5. თუ მომხმარებელი გაყიდის კამპანიის ფარგლებში შეძენილ აქციებს (ნაწილობრივ ან სრულად) ან /და შექმნის გაყიდვის დავალებას , რომელიც სრულად ან ნაწილობრივ მოიცავს კამპანიის ფარგლებში შეძენილ აქციებს , მაშინ მომხმარებელი კამპანიიდან ავტომატურად გამოეთიშება და დანაკარგი არ
აუნაზღაურდება , მიუხედავად იმისა , დაფიქსირდა თუ არა კამპანიის ფარგლებში
შეძენილი აქციის ფასის კლება წესებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
3.6. მომხმარებელი დანაკარგის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციას მიიღებს SMS შეტყობინების სახით , თიბისი მობაილბანკის სისტემაში რეგისტრირებულ
ტელეფონის ნომერზე . შეტყობინება მომხმარებელთან გაიგზავნება ორ
შემთხვევაში : თუ დანაკარგი მომხმარებელს აუნაზღაურდება ან თუ დანაკარგი არ
დაფიქსირდა.
3.7. მომხმარებელი წესებზე დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს , დაცვის
პერიოდი , რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს დანაკარგი უნაზღაურდება ,
ვრცელდება მხოლოდ მომხმარებლის მიერ კამპანიის ფარგლებში შეძენილ
აქციებზე , წესებით დადგენილი პირობების სრული , ზუსტი და განუხრელი დაცვის
შემთხვევაში და მხოლოდ დაცვის პერიოდის მოქმედების განმავლობაში .
შესაბამისად , მომხმარებლის მიერ კამპანიის ფარგლებს გარეთ შეძენილ აქციებზე (მათ შორის , თუმცა არა მხოლოდ კამპანიის ფარგლებში თიბისი კაპიტალის მიერ შემოთავაზებული კომპანიის აქციებზე) არ ვრცელდება /არ გავრცელდება დაცვის პერიოდი და მომხმარებელს დანაკარგი არ აუნაზღაურდება .
3.7.1. კამპანიის ფარგლებში მომხმარებლისთვის ასანაზღაურებელი
დანაკარგის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს **50 (ორმოცდაათი) აშშ**
დოლარს.
3.8. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით , თიბისი კაპიტალი დანაკარგის ანაზღაურების ვალდებულებას იღებს მხოლოდ და მხოლოდ წინამდებარე წესებით დადგენილი პირობებისა და დათქმების სრული, ზუსტი და განუხრელი დაცვის შემთხვევაში. მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს კამპანიაში ჩართვამდე არ აქვს შესრულებული არცერთი სავაჭრო ტრანზაქცია და იგი შეიძენს მხოლოდ ერთი კომპანიის აქციას წესების 2.2. პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური არხების მეშვეობით თიბისი კაპიტალის მიერ წინასწარ დადგენილი ნასყიდობის ფასით - **50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარით** და **დაცვის პერიოდის**

განმავლობაში არ გაყიდის (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ) კამპანიის ფარგლებში შეძენილ აქციას ან/და არ შექმნის მისი გაყიდვის დავალებას. თიბისი კაპიტალი არ აუნაზღაურებს მომხმარებელს დანაკარგს **დაცვის პერიოდის გასვლის შემდეგ** ან/და წინამდებარე წესების 1.2. პუნქტით განსაზღვრული რაოდენობრივი ლიმიტის (**პირველი 1 000 (ერთი ათასი) მომხმარებელი**) შევსების შემდეგ ან/და იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაარღვევს წესების რომელიმე ან/და რამდენიმე პუნქტს (მათ შორის, შეძენილი აქციის გაყიდვის ან/და გაყიდვის დავალების შექმნის შემთხვევაში). თიბისი კაპიტალი უფლებამოსილია თავად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მომხმარებლისთვის დანაკარგის ანაზღაურების თაობაზე და დაადგინოს რომელიმე ან /და რამდენიმე ვალდებულების დარღვევის /შეუსრულებლობის ფაქტი , ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. პასუხისმგებლობა

4.1. თიბისი კაპიტალი არ არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისათვის , რომელიც მოიცავს პირდაპირ , არაპირდაპირ , სპეციალურ , შემთხვევით , მიზეზ -შედეგობრივ ზიანს , რაც გამოწვეულია კამპანიის ან კამპანიის ფარგლებში შეძენილი აქციების არამართლზომიერი გამოყენებით და წინამდებარე წესების დარღვევით .
4.2. მომხმარებელი წესებზე დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს , რომ თიბისი კაპიტალს არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე , რომელიც გამოწვეულია ტექნიკური , საოპერაციო ან საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის , დამოუკიდებელი ბროკერის , DriveWealth LLC -ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე /ზარალზე , რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის პროგრამული უზრუნველყოფის ან მობაილ ბანკის ვერსიის გამოყენებით , რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომიპროგრამით.
4.2. მომხმარებელი წესებზე დათანხმებით აცნობიერებს და ადასტურებს, რომ თიბისი კაპიტალს არ ეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე პირდაპირ ან არაპირდაპირ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ტექნიკური, საოპერაციო ან საკომუნიკაციო შეფერხებებით (მათ შორის, დამოუკიდებელი ბროკერის, DriveWealth LLC-ის სისტემების მიერ), აგრეთვე ზიანზე/ზარალზე, რომელიც გამოწვეულია მომხმარებლის პროგრამული უზრუნველყოფის ან მობაილბანკის ვერსიის გამოყენებით, რომელიც არ არის განახლებული უახლესი ხელმისაწვდომი პროგრამით. აქციებისა და მათი ფასების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია დამოუკიდებელი ბროკერის , DriveWealth LLC -ის მიერ და თიბისი კაპიტალი არ იღებს პასუხისმგებლობას მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სიზუსტეზე .

4.4. მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს , რომ კამპანია არ წარმოადგენს თიბისი კაპიტალის მხრიდან გაცემულ საინვესტიციო , იურიდიულ ან სხვა სახის ფინანსურ რჩევას . თიბისი კაპიტალი პასუხისმგებლობას არ იღებს მომავალ ფინანსურ შედეგებზე და მომხმარებელი სრულად აცნობიერებს , რომ დაცვის პერიოდის დასრულების თარიღის შემდგომ აქციების ფასის კლებასთან
დაკავშირებული ყოველგვარი რისკი სრულად ეკისრება მას .
4.5. მომხმარებელი აცნობიერებს და ადასტურებს , რომ იმ შემთხვევაში , თუ იგი კამპანიით განსაზღვრული რომელიმე კომპანიის აქციას შეიძენს კამპანიის ფარგლების გარეთ (რაც, მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, გულისხმობს მხოლოდ კამპანიის ფარგლებში, **ნასყიდობის ფასით** და წესების 2.2 პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური არხებით შეძენილ მხოლოდ ერთი კომპანიის აქციას), მიუხედავად იმისა, ტრანზაქციის მოცულობა

უტოლდება თუ არა კამპანიით განსაზღვრულ ნასყიდობის ფასს - **50 (ორმოცდაათი) აშშ დოლარს** ან შეადგენს სხვა ნებისმიერ თანხას, აღნიშნულ შენაძენზე არ გავრცელდება **დაცვის პერიოდი** და მასთან დაკავშირებული ანაზღაურების პირობები. შესაბამისად, აღნიშნულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ფინანსური რისკი და პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მომხმარებელს.

5. სხვა პირობები

5.1. წინამდებარე წესები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობითა და მომხმარებელსა და თიბისი კაპიტალს შორის გაფორმებული „თიბისი კაპიტალის ინვესტიციების გენერალური ხელშეკრულებით “.
5.2. მომხმარებელი ვალდებულია კამპანიაში არ ჩაერთოს ან /და კამპანიის ფარგლებში შეძენილი აქციები არ გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო , თაღლითური ან /და თიბისი კაპიტალისათვის ზიანის მომტანი მიზნებისთვის .
5.3. თიბისი კაპიტალი იტოვებს ცალმხრივ და უპირობო უფლებას , თავად და დამოუკიდებლად ნებისმიერ დროს შეცვალოს წესები , ხოლო მომხმარებელი ვალდებულია მუდმივად იცავდეს ზემოაღნიშნულს .

გაითვალისწინე, ეს არ არის ფინანსური რჩევა

დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:

(0322) 27 27 97
Support@tbccapital.ge